

## ენობრივი პოლიტიკა და მოსახლეობის დეემოგრაფიული ცვლა

სოციალური მეცნიერებები თანამედროვე მოსახლეობის გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის (ქვეყნის, სამშობლოს) შეცვლის პროცესებს ახალი ტიპის მოვლენად მიიჩნევენ, არა ისეთად, როგორც იყო მიგრაციები წარსულში.

მოსახლეობის გადაადგილება ნიშნავს ერთი კულტურული (და სოციალური) მოდელის მოხვედრას, გადასვლას სხვა კულტურულ (და სოციალურ) გარემოში. მაგრამ ეს არ არის მექანიკური გადასვლა, როდესაც ახალ სამშობლოში ერთმანეთის გვერდით იარსებებს ორი დამოუკიდებელი კულტურა; იმიგრანტს თან მოყოლილ გამოცდილებასთან ერთად უგროვდება ახალი გარემოს ათვისების გზაზე შეძენილი გამოცდილება, რომელშიც ერთდროულად თანაარსებობს ძველი და ახალი.

თანამედროვე მსოფლიოსათვის ამგვარი მოდელები ტიპურად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ წარსულში მიგრაციებს სხვა თავისებურებები ჰქონდა. დღეს ხალხის გადაადგილებას ძირითადად ინდივიდუალური ხასიათი აქვს, მიდიან (ერთი ქვეყნიდან მეორეში) ინდივიდები ან ოჯახები, მაგრამ არა ტომები და ეთნოსები. თუმცა თანამედროვე მსოფლიოშიც ფიქსირდება ლტოლვილთა ნაკადები, რომელთა შორისაა ეკოლოგიური კატასტროფების ან ომების შედეგად სამკვიდრებელიდან დაძრული მოსახლეობა. ინდივიდთა ან უმცირესი ჯგუფების (როგორცაა ოჯახი) ადგილგადანაცვლების შემთხვევაში ადაპტაცია უფრო სწრაფი და „შედეგიანი“, მსხვილი კოლექტივების შემთხვევაში კი წარსულთან კავშირი გაცილებით მყარია და ხანგრძლივი. მშობლიური ენის შენარჩუნებაც ვრცელ კოლექტივებში უფროა უზრუნველყოფილი.

საბჭოთა მოდელის მიხედვით (მაშინ, როდესაც საზღვრები საბჭოთა სივრცეში არ იყო და მოსახლეობას არ შეიძლებოდა მიეჩნია, რომ მკვიდრი საცხოვრებელი ადგილი ჰქონდა (გავიხსენოთ სიმღერა „ჩემი მისამართი სახლი და ქუჩა კი არ არის, არამედ — საბჭოთა კავშირი“). ასეთ დროს კანონით მისთვის საბჭოეთის ნებისმიერ წერტილში (რუსულის გარდა) სხვა ენის (მასპინძელი რესპუბლიკის ენისა და კულტურის) თავს მოხვევა უფლებათა შელახვად აღიქმებოდა. ამიტომაც იქმნებოდა ყველა რესპუბლიკაში ჩაკეტილი ეთნიკური კოლექტივები, რომლებიც საკუთარ ენა-კულტურაში რჩებოდნენ და ავტოქტონ მოსახლეობასთან რუსულად ურთიერთობდნენ. თანამედროვე მსოფლიო ამ საკითხს სხვაგვარად უყურებს: იგი მიიჩნევს, რომ თუკი მასპინძელი არ უზრუნველყოფს მოსულის ენობრივ ადაპტაციას, არ ამარაგებს მას სახელმწიფო ენის სახელმძღვანელოებით და საგანგებო პროგრამებით, ეს ნიშნავს, რომ „მოსულს“ ინტეგრაციის საშუალებას არ აძლევს და შესაბამისად, აიძულებს, რომ ამ მოსახლეობამ გეზი შინ დაბრუნების ან უცხოეთში წასვლისაკენ მიმართოს. ასე რომ, ქართველებს საერთაშორისო საზოგადოებრიობასთან ურთიერთობისას ორი პრობლემა უდგათ: თუ აქ მცხოვრებ მოსახლეობას იზოლაციაში დატოვებენ, წარმატებული ევროპა-ამერიკა მათთვის ინტეგრაციაზე უარის თქმას დააბრალებს, ხოლო თუკი „მოსულთა“ შორის ქართულის სწავლებისა და ქართული სკოლის დანერგვას დაიწყებს, მაშინ ზეწოლაში დაადანაშაულებენ.

ეკონომიკურად დაწინაურებულ ქვეყნებში დღეს ორი პროგრამა მოქმედებს. ორივე ეს პროგრამა (ერთი შეხედვით, ურთიერთგამომრიცხავი) სრულიად ჰუმანური და პრაქტიკული მოსახრებებითაა ნაკარნახევი. პირველ შემთხვევაში საუბარია იმ მოსახლეობაზე, რომელმაც ახალი სამშობლო აირჩია და მასში ინტეგრირების სწრაფსა და რაციონალურ გზებს ეძებს, მეორე შემთხვევაში კი საქმე ეხება იმ ადამიანებს, რომლებმაც ამა თუ იმ მიზეზით (ეკონომიკური, პოლიტიკური, ეკოლოგიური და სხვ.) დროებით დატოვეს სამშობლო და ოდესმე უკან დაბრუნებას გეგმავენ (თვითონ ან შემდგომი თაობა), ასეთ შემთხვევაში მათთვის მნიშვნელოვანია საკუთარ ფესვებთან კავშირის შენარჩუნება.

ორივე შემთხვევაში გასათვალისწინებელია (და მოწინავე ქვეყნებში არის კიდევ გათვალისწინებული) "მიმღები" ქვეყნის ინტერესები: რა სიხშირით და რა რაოდენობით იმიგრანტის მიღება, დაბინავება, დასაქმება და კულტურული ათვისება შეუძლია "მიმღებ" ქვეყანას, რომლის ამოცანა ასეთ შემთხვევაში საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული წონასწორობის შენარჩუნებაა. და ამასთან, რა საშუალებებს ფლობს ცალკეული ქვეყანა (დღევანდელი გლობალური საკანონმდებლო სისტემის მოქმედების ვითარებაში) შიდასახელმწიფოებრივი მოწყობის ინტერესებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისობაში მოსაყვანად "მოსული" მოსახლეობის განსახლების, ენობრივი უფლებებისა და ამის საფუძველზე სოციალური აქტივობის დასარეგულირებლად. ეს ურთულესი საკითხები თანამედროვე მსოფლიოსთვის დამახასიათებელი საკითხებია და მათზე პასუხები, ცხადია, მარტო წარსულის გამოცდილებით ვერ მოიძებნება, ან მიმღებ ქვეყანაში ცხოვრების ხანგრძლივობის ვითარებაში არაავტოქტონის ენობრივი ორიენტაციის მართვის სისტემებია შემუშავებული.

მოსახლეობის მიგრაციის თეორიამ მკვეთრი ცვლილებები განიცადა მეოცე საუკუნეში. თვით მეოცე საუკუნე ორ პერიოდად იყოფა ამ თვალსაზრისით: ა) საუკუნის პირველ ნახევარში მასობრივი გადაადგილებანი მოსახლეობისა მეტ მასალას იძლეოდა ანთროპოლოგიური კვლევისათვის კულტურული გავრცელებულობისა და კონტაქტის თვალსაზრისით; ბ) მეორე ნახევარში ძლიერდება მოსახლეობის გადაადგილების სოციალური ხასიათი და მცირდება თავად გადაადგილებადი მოსახლეობის კულტურული ინდივიდუალურობის ხარისხი, ამიტომ მოსულსა და დამხვდურს შორის კონტაქტები მეტად სოციალურია და ნაკლებად - კულტურული, უფრო ადვილად ხდება მოსულის კულტურული ათვისება. ამ პერიოდიდან ჩნდება ახალი კონცეფციები და ტერმინები, გარკვეული სფეროს ამსახველი, როგორცაა: გაღობა, ინტეგრაცია, ასიმილაცია, სინკრეტიზმი, რეინტერპრეტაცია, კულტურული გაცვლა, პლურალიზმი, დიფუზია (გავრცელებულობა), ტექნიკური და სახალხო მოხმარების სფეროებისათვის კულტუროლოგიური საფუძვლის გამოცლა და კონკურირებადი თეორიული საფუძვლების რეფორმულირება.

მიგრაციები განსაკუთრებით გაძლიერდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც მოსახლეობა გათავისუფლდა ომისდროინდელი დაქვემდებარებულობისაგან; ამასთან, სამკვიდრებლიდან ხალხის დაძვრას ბიძგი მისცა ეკონომიკური კრიზისის ფართო სპექტრმა, იაფი ტრანსპორტის განვითარებამ და თითქმის წამიერმა კომუნიკაციამ. ამან სათავე დაუდო მსოფლიოს გარშემო მიგრაციული აქტივობის აფეთქებას. ასე ხდებოდა მსოფლიოში. გაცილებით უფრო გეგმიური

იყო ეს მოვლენა ჯერ რუსეთის იმპერიაში და შემდეგ საბჭოთა კავშირში, სადაც მოსახლეობის მოძრაობის სივრცეცა და "მისულ-მიმღების" ურთიერთობაც ვიწრო და მკაცრად შემოფარგლულ გეგმიურ პოლიტიკას ექვემდებარებოდა. საქართველოც ამ სივრცეში იყო მოქცეული და მისი ენობრივი სიტუაციაც მგრძნობიარედ რეაგირებდა მიგრაციულ ცვლებადობაზე.

თანამედროვე სოციალურ დისციპლინებსა და სოციალურ სამსახურებს, რომელთა ხელშიც არის სახელმწიფოს შიდამოწყობის საკითხები, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებს სამოქალაქო კეთილდღეობა და ერთიანობა, რაც სახელმწიფოს კეთილდღეობის საწინდარია. ყველა ის საკითხი, რომელიც ამ ერთიანობას ხელს უშლის, საგანგებო შესწავლისა და რეფორმების საგანია. აღმოჩნდა, რომ ენა, სახელმწიფო ენისადმი მიმართება, მისი ცოდნის ხარისხი, მოქალაქისათვის ამ ენის ფუნქციონირებადი პლასტების ფლობა და სხვ. ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია ხსენებული ერთიანობისა და წონასწორობის შესანარჩუნებლად. წარსული რამდენიმე წლის განმავლობაში ანთროპოლოგებმა დაბეჯითებით აღნიშნეს, რომ იმიგრანტები ინარჩუნებენ თავიანთ კავშირს სახლთან მაშინაც კი, როდესაც მათი წარმომშობი ადგილი და კერა ძალიან შორსაა.

ჩვეულებრივ მიჯნავენ მოსახლეობის მიგრაციას მეოცე საუკუნემდე და მეოცე საუკუნის შემდგომ პერიოდებში. მიგრაციათა ხასიათი ამ პერიოდებში სხვადასხვაა; მიგრაციათა მიზეზი შეიძლება იყოს: ეკოლოგიური კატასტროფები; ომები; ეკონომიკური ინტერესები; პოლიტიკური მიზეზებით საზღვრების ცვლა.

ჩვენს სინამდვილეში ყველა სასაზღვრო თუ შიდამოწყობის საკითხში დანაკარგები დემოგრაფიულ სურათზე ზემოქმედებით შეგვექმნა.

როდესაც შუა აზიაში გადასახლებული ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა დაბრუნდა უკან და ამით რუსეთის იმპერიას სიძნელეები შეუქმნა; რუსეთმა გადაწყვიტა ეს შეცდომა მომავალში აღარ გაემეორებინა: ანუ არ დაეშვა კომპაქტური ჯგუფების ლტოლვილის სტატუსით ხიზნობა, და მომდევნო პერიოდებში იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობას სწორედ რომ ინტეგრირების მეთოდით ანაწილებდა სხვადასხვა ქალაქში, ძირითადად სწორედ ქალაქში და არა სოფლებში (ეს ნიშანდობლივია, რადგან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დემოგრაფიული გამოცდილება უჩვენებს: ქალაქი თავისი ბუნებით კოსმოპოლიტურია, ის ნაკლებად ერთგულობს ტრადიციებს, ეროვნული სახელმწიფოს ნიშნებს და მეტად განიცდის გლობალიზაციურ ზეგავლენას). ცხადია, აფხაზეთიდან და სამაჩაბლოს მთელი რიგი რაიონებიდან დევნილი ქართველი მოსახლეობა არ ყოფილა მხოლოდ ქალაქის მკვიდრი, მით უფრო რომ საქართველოს ე.წ. პატარა ქალაქები კვაზიურბანულნი არიან საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით. ასე რომ, ეს მოსახლეობა "გააქალაქელეს", ანუ ქალაქისათვის სოციალურად მოუმზადებლად აქციეს, სოფელს კი მოწყვიტეს. დევნილები ქალაქებში სხვადასხვა უბნებში გაანაწილეს ან უბრალოდ, მათვე მიანდეს საცხოვრებელი ადგილის შოვნა. ვინაც რა შეძლო, ის ბინა იშოვნა, ამით ხელი შეუწყვეს მათ უსწრაფეს ინტეგრაციას დამხვდურ მოსახლეობაში (ნუ დაივიწყებთ, რომ თბილისში დევნილებს ბევრი მტრულადაც შეხვდა, როგორც საყოველთაო უმუშევრობის ფონზე სამუშაოში მოცილეს (იქამდე მათ დიალექტზე ლაბარაკის გამოც კი დაუწყეს კრიტიკა ან დაცინვა). ამით ეს მოსახლეობა მართო დარჩა თავის სიძნელეებთან და მოიქცა

არა ორგანიზებულად, არამედ ინდივიდუალური არჩევანის მიხედვით. ნაწილი ადაპტირდა, ნაწილი საერთოდ გავიდა საქართველოდან. მაგრამ აქედან გასვლას ჰქონდა ინდივიდუალური გადაადგილების ხასიათი და აღარ განიხილებოდა როგორც დევნილობა (ანუ უკან დამბრუნებელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უახლოეს მომავალში საერთოდ დაკარგავს ორგანიზებული დამბრუნების შეგნებას). მაშასადამე, როდესაც დაიგეგმა დევნილი მოსახლეობის "გათქვეფა და დამკვიდრება" ახალ სამოსახლოში, ეს გეგმა განხორციელდა კიდევ შემდეგი გზით:

1. დევნილები ერთად კი არ დაასახლეს, არამედ დაანაწილეს სხვადასხვა ადგილზე, მეტადრე ქართული მოსახლეობის კონცენტრაციის ადგილებში და ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან ინტეგრაციას ხელი შეუწყვეს;

2. დევნილები ჩამოიყვანეს ქალაქებში და არა სოფლებში და ამით მათ კოსმოპოლიტიზებას შეუწყვეს ხელი;

3. დევნილებისათვის არ შექმნილა რაიმე საგანგებო ღონისძიებები, რომლითაც ისინი ორგანიზებული დაცვის ქვეშ აღმოჩნდებოდნენ და ამით მათი ნაწილის საქართველოდან გასვლას შეეწყო ხელი, მაგრამ მათი გასვლა ინდივიდუალური მიგრაციის ხასიათისა იყო და არა დევნილობის ნიშნით გადაადგილებისა;

4. დევნილები არ შეუყვანიათ იმ რეგიონებში, სადაც ქართველობის სიმცირეა და ქართული ენა ეკოლოგიურ საფრთხეშია.

სხვადასხვა დროს საქართველოში შემოსული არაქართული მოსახლეობის, მათ შორის, ბოლო ხანებში ყარაბაზიდან გადმოსული სომეხ-აზერბაიჯანელების განსახლება საქართველოში ჩვენი მოსახლეობისათვის სრულიად დაფარულად, თუმცა კი გეგმიურად განხორციელდა: ეს მოსახლეობა თავის კომპაქტურად დასახლებულ თანამემამულეებში ჩასახლდა და ქართველობისა და ქართული ენისათვის ისედაც საზიფათოდ კონცენტრირებულ არაქართულენოვან კოლექტივებს შეემატა.

ვეროპელები თავის ტერიტორიაზე მოძალებული თავშესაფრის მაძიებელთ, ანუ დევნილებს მკაცრ ღონისძიებებს უხვედრებენ: უკან აბრუნებენ, თვალყურს ადევნებენ სავიზო რეჟიმს, მკაცრად იცავენ მოქალაქეობის მიღების მოთხოვნებს, ამოწმებენ სახელმწიფო ენის ცოდნის ხარისხს, "მიღებულებს" სპეციალური გამანაწილებელი პუნქტებიდან უშვებენ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში (ანაწილებენ) ისე, რომ ისინი ერთად არ აღმოჩნდნენ და პრობლემები არ შექმნან.

თანამედროვე ექსპერტთა აზრი ასეთია: თუ ვერ ხერხდება ენის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ის ავადმყოფი ენაა და შესაბამისად დასაღუბავად განწირულიც: "მტარებელთა რაოდენობის მიხედვით საზოგადოებრივსა და სოციალურ ბლანში სიცოცხლისუნარიანობის თვალსაზრისით ენები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ენები შეიძლება დავეყოთ „ჯანმრთელ“ და „ავადმყოფ ენებად (Кибрик А.Е., 1992, გვ. 48): "ჯანმრთელ" ენებს შესწევთ უნარი წარმოებისა და მოსახლეობის რაოდენობის ზრდის შესაბამისად თავისი სოციალური სტატუსისა და გამოყენების სფეროთა გაფართოებისა, ხოლო „ავადმყოფები არიან დეგრადაციის ამა თუ იმ სტადიაში, შეიმჩნევა მათი სოციალური სტატუსის დაქვეითება, მოქმედების სფეროთა შემცირება, მტარებელთა რიცხვის შემცირება, განსაკუთრებით მათი, ვისთვისაც ეს ენა მშობლიურია. ენის არსებობის ეს სოციალური პარამეტრები ზემოქმედებენ შიდასტრუქტურულ პარამეტრებზე: სტრუქტურის სიმყარეზე უცხოენოვანი

გავლენის მიმართ და სხვ. როცა ავადმყოფობის შედეგები აღწევს კრიტიკულ დონეს, აღმოცენდება ენის არსებობისათვის საფრთხე.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული ენა აღარ ფუნქციონირებს აფხაზეთში, სამაჩაბლოს მთელ რიგ რეგიონებში, ჯავახეთის მნიშვნელოვან ნაწილსა და ქვემო ქართლის რიგ რაიონებში, ჩვენ სამოქმედო გეგმები, დაფინანსება და სახელმწიფო პოლიტიკა უნდა მივმართოთ, უპირველეს ყოვლისა, დასახელებულ რეგიონებში საფრთხის ქვეშ მყოფი ქართული ენისა და ქართველობის დასაცავად, და მერე ვიმსჯელოთ იმ პროგრამებსა და გრანტებზე, რომელთაც უცხოელთა გასამაგრებლად გამოყოფენ სპეციალური ფონდები და სამსახურები.

თანამედროვე მსოფლიოში 340 მლნ. ადამიანი არ ცხოვრობს თავის სამშობლოში და ეროვნულ ან ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენს, აქედან 80 მლნ.-მდე ადამიანი ჯერ კიდევ რჩება ენობრივ უმცირესობად.

ენობრივი კოლექტივების ურთიერთობა რთულსა და მრავალფეროვან პერიპეტეებს შეიცავს. ამ ურთიერთობებში დაახლოების ან დაშორების ხელოვნურად სტიმულირება, ენის ფუნქციონირების ბუნებრივი გზის გამრუდების მცდელობა, პოლიტიკური ან ეკონომიკური მიზნებით ენობრივი კონტაქტების უპასუხისმგებლო რეგულირება შესაძლებელია ენობრივი კონფლიქტების მიზეზი გახდეს; ხოლო ენობრივი კონფლიქტი უმეტეს შემთხვევაში ეთნოკონფლიქტს მოასწავებს.

ვიდრე საერთაშორისო კანონმდებლობა და თანამედროვე მსოფლიო მოწყობის მოწინავე ოპერატორები არ შემოგვთავაზებენ ზემოთ ხსენებული პრობლემების სამართლიანი და უდავო გადაწყვეტის მაგალითებს, მანამდე ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ საქართველოს ისტორიული გამოცდილებით, რომელიც გულისხმობს: "მოსულ" მოსახლეობასთან შემწყნარებლურ, კეთილ ურთიერთობას, საკუთარი სახელმწიფოს შეუფერხებელ მშენებლობას, დედაენის მოვლა-პატრონობას, საკუთარი თვითობის მოფრთხილებას, საკუთარი საშინაო პოლიტიკისა და კულტურული ყოფის გონივრულ, ჰუმანისტურ დაგეგმვას.

#### ლიტერატურა

ს. კორდელიე, 1997 - სერჟ კორდელიე, საფრანგეთის სახელმწიფო, ისტორია, ტერიტორია, საზოგადოება, თბ., 1997.

მ. ტაბიძე, 1999 - მ. ტაბიძე, ენობრივი პოლიტიკის საფუძვლები, მიმართულებანი და შედეგები: ახალი პარადიგმები, №3 (ინტერდისციპლინარული კვლევების საერთაშორისო ცენტრი - თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი). თბ., 1999.

Кирик, 1992 - Кирик А.Е., Методика полевых исследований (к постановке проблемы), М., 1992.

Bauhn, Lindberg, Lundberg, 1995 - Per Bauhn, Christer Lindberg, Svante Lundberg, Multiculturalism and Nationhood in Canada (The Cases of First Nations and Quebec), Lund University Press, Lund, 1995, 102p.

Coudenberg, 1988 - Coudenberg, The New Belgian Institutional Framework. Brussels: Group Coudenberg, Center for the study of Federalism, 1988.

Willemyns, 1992 - Roland Willemyns, Linguistic Legislation and Prestige Shift, 16p., წიგნიდან Status Change of Languages, ad.by Ulrich Ammon and Marlis Hellinger, Walter de Gruyter, Berlin.New York, 1992.

Willemyns, 1993 - Roland Willemyns, Integration vs.particularism: The undeclared issue at the first "Dutch Congress" in 1849, წიგნიდან: The Earliest Stage of Language Planning, The first Congress" Phenomenon, ed.ba Jpshua A.Fishman, Berlin-New York, 1993.

## MANANA TABIDZE

### LANGUAGE POLICY AND DEMOGRAPHIC CHANGES OF THE POPULATION

Population migration process in Georgia is usually viewed into periods: before the 20th century and during various intermittent spans of the 20th century. The character and reasons of the 20th century migrations are of different characters; the reason could be ecological disasters, wars, economic interests, and changes of frontiers for political reasons.

The deficiency and loss in the issues related to the country's frontiers or in the inner arrangements in the Georgian reality was brought about for the negative changes exerted on the demographic picture.

Demographic experience in the various countries of the world manifests that the distribution of displaced people within the country only in the urban areas, and not in rural, presents an purposeful event: as cities, being subjected to the globalization, are cosmopolitan with their nature, and hardly ever loyal to traditions, or the signs and symbols of the national state. Obviously, the population who are displaced from Abkhazia and Samachablo (South Ossetia) were not only from urban estates but from a rural as well. Moreover, small towns of Georgia are quasi-urban units compared to the international standards. Thus, a greater part of the displaced population from the conflict areas had been made into "city-dwellers". Being forced out from their villages they were socially unprepared for changes. In addition to these the displaced people were given shelters in different districts of the cities, and in certain cases these people had to find themselves the place to live. People found their homes at random according to their abilities; the process itself facilitated assimilation tendencies with the local inhabitants. (It is important to note that a part of Tbilisi inhabitants met newcomers rather unfriendly. Under the conditions of the unemployment they were not only segregated but also even their dialects became the matter of annoyance to be ridiculed by city local population, who "criticized" them. The displaced population appeared to face alone with their hardships and being disorganized they had to proceed according to their individual choices. Some managed to adapt, others left the country, but the emigration had the nature of individual departure and the process was not qualified as refuge. Evidently the desire and consciousness for the organized return to the homeland of those people who hoped to return back will fade. The logic is

that when the mixing and integrating of this population had been planned it had been carried out through the following methods:

1. Displaced people were offered different places to live mostly at the localities of the denser concentration to speed up the integration process with the local population.

2. Sending the refugees to the urban and not rural areas was meant for the fostering of their cosmopolitanization.

3. No special efforts had been made that would have provided organized protection of the displaced people that would have qualified their emigration as refugees survival process but not as individual migration.

4. The government did not bring the displaced people to the regions where Georgian ethnos is sparsely populated and the Georgian language is under 'ecological' threats.

Lately, in various times, the non-Georgian Armenian and Azer population came to live in the areas where their compatriots had been densely populated in Georgia. The government led this process methodically without informing general public with which they put more load on the Georgian ethnos and Georgian language in the regions where there is high concentration of non-Georgian ethnos.